პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკის ზოგიერთი საკითხისათვის

ნინო ბირკაია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელფოსტა: b.niniko@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac

წინამდებარე წერილში განხილულია პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკის ზოგიერთი საკვანძო საკითხი. სტატიაში მიმოხილულია პოსტმოდერნიზმის, როგორც კულტურულ-ისტორიული ეპოქისა და მხატვრულ-ესთეტიკური პარადიგმის, წარმოშობის მიზეზები, პოსტმოდერნისტული ფილოსოფიისა და ესთეტიკის არსებითი მახასიათებლები და ამ ფონზე შესწავლილია პოსტმოდერნისტული რომანისათვის დამახასიათებელი ძირითადი პოეტოლოგიური კატეგორიები. XX საუკუნის მეორე ნახევარში - პოსტმოდერნიზმის ხანაში - იბადება რომანის ახალი ტიპი, ე.წ. პოსტმოდერნისტული რომანი, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება პოეტოლოგიური და იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ტრადიციული (განმანათლებლური, რეალისტური) და, მეორე მხრივ, არატრადიციული (რომანტიკული, მოდერნისტული) რომანის ტიპს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკის ისეთ თავისებურებებზე, როგორიცაა: დეკონსტრუქცია, ფრაგმენტულობა, დეკანონიზაცია, ირონია და თვითირონია, ჟანრების და ფორმების ჰიბრიდიზაცია, კარნავალურობა, პაროდიულობა, დეკონსტრუქცია, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი თამაშება, ორმაგი კოდირება, ავტორის სიკვდილი, რეალურისა და ფიქციურის/გამოგონილის კომბინირება, ინტერტექსტუალობა და სხვა.

პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკისათვის ნიშანდობლივია აპრიორული ანტილოგოცენტრიზმი /ლოგოცენტრისტული პოზიციებისა და ლოგოცენტრისტულ ღირებულებათა დეკონსტრუქცია/დესტრუქცია, დეკონსტრუქტივისტული პათოსი, ონტოტექსტუალობა, არტისტული თამაშისადმი აპრიორული სწრაფვა, სიმულაკრულობა, ინტერტექსტუალობა, მეტაფიქციონალობა, ორმაგი (სამმაგი და ა. შ.) კოდირების პრინციპი, რიზომატულობა, კლასიკური ტექსტების პაროდირება, თხრობის/ნარაციის აბსოლუტიზება (თხრობა თხრობისათვის), ჟანრობრივი, სტილური და რიტორიკული პლურალიზმი, თხრობის პერსპექტივათა პლურალიზმი და თანაფარდობა, ტექსტის ყველა დონეზე (ლექსიკური, სინტაგმატური, პრაგმატული) აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მთლიანობის, ანუ მათი ერთმნიშვნელოვანი თანხვედრის რღვევა-დაშლა/დეკონსტრუქცია, გასართობი /ტრივიალური ლიტერატურისადმი მოჩვენებითი სწრაფვა და ტექსტის ფარგლებში გასართობ-მასობრივ და ინტელექტუალურ-ელიტარულ დისკურსთა თანაარსებობა, „ავტორის სიკვდილი“/ტრადიციული ავტორის „ლიკვიდაცია“.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი, სიმულაკრა, დეკონსტრუქცია, ორმაგი კოდირება, ინტერტექსტუალობა

პოსტმოდერნიზმის, როგორც თანამედროვე ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ფენომენის, პრობლემა XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა. როგორც ტერმინი, ის პირველად ულტრამოდულ, ლიტერატურულ ექსპერიმენტებთან კავშირში გამოიყენეს 60-70-იანი წლების ამერიკულ კრიტიკაში, თუმცა მოგვიანებით ამ ცნებამ ფართო გაგება შეიძინა და დღესდღეობით თანამედროვე ცივილიზაციის სულიერი ცხოვრე-ბის სპეციფიკურ-დამახასიათებელ ტენდენციებს აღნიშნავს [კობეშავიძე, 2017: 14].

პოსტმოდერნიზმის წარმოშობის საფუძვლად სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ - პოლიტიკურს, სოციალურს, მეცნიერულ-ტექნიკურსა თუ მსოფლმხედველობითს. მან ყველაზე ნათლად ასახა XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისის სულიერი განწყობილება, ძველის გადაფასება და ახლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება და ხელოვნების ისტორიაში შევიდა მორიგი "fin de siècle" სახელით. *ვარდის სახელის* წინასიტყვაობაში უმბერტო ეკო წერდა, რომ როგორც ჩანს, ყოველი ეპოქა თავის დროზე უახლოვდება კრიზისის ზღვარს - წარსული მძიმე ტვირთად იქცევა, უკან გვეწევა ... დადგა დრო, როდესაც ავანგარდს (მოდერნიზმს) წინ წასასვლელი გზა მოჭრილი აქვს, რადგან მან შექმნა თავისი საკუთარი „მეტაენა", რომელიც მხოლოდ მოდერნისტული, უჩვეულო ტექსტების სამეტყველო ენაა [Eco, 1984: 14].

1967 წელს ამერიკაში, ვირჯინიის უნივერსიტეტში მწერალმა და კრიტიკოსმა ჯონ ბარტმა წაიკითხა ლექცია სახელწოდებით „ამოწურვის ლიტერატურა" ("Literature of Exhaustion"), რომელიც იმავე წელს ჟურნალში *ატლანტიკი* დაიბეჭდა. მოგვიანებით ეს წინააღ-მდეგობებით სავსე ესე პოსტმოდერნიზმის მანიფესტად იქცა. ავტორის აზრით, როცა მოდერნიზმი გლოვობს დასავლურ კულტურაში გამეფებულ ქაოსს, პოსტმოდერნიზმი, პირიქით -კი არ გლოვობს, არამედ ზეიმობს ყოველივე ამის გამო. პოსტმოდერნიზმი, მოდერნიზმისგან განსხვავებით არ ეძებს ახალს და არ უპირისპირდება ტრადიციულს, ძველი არქეტიპების ნაგლეჯებისა და ნაწილების გამოყენებით ქმნის „ორიგინალურს", თუ არა ხელოვნების ახალ ნიმუშს მაინც, რომელიც შლის ტრადიციულ განსხვავებას ძველსა და ახალს, მაღალსა და დაბალ ხელოვნებას შორის. ბარტის აზრით, თანამედროვე რომანი მხოლოდ რომანის ფორმის იმიტაცია იყო, ხოლო ავტორი მხოლოდ ავტორის როლის იმიტაციას წარმოადგენდა [Barth, 1984: 145].

1968 წელს, უკვე ევროპის კონტინენტზე, საფრანგეთში შექმნილ ესეში „ავტორის სიკვდილი" როლან ბარტი ამტკიცებს, რომ ღმერთის სიკვდილმა გამოიწვია ავტორის სიკვდილი და ხაზს უსვამს ტექსტის წაკითხვისა და კრიტიკის ახალი მიდგომებისა და მეთოდების უპირატესობას. მკითხველმა უნდა განაცალკეოს მხატვრული ნაწარმოები მისი შემქმნელისაგან, იმისთვის რომ გაათავისუფლოს ტექსტი ავტორის განმარტებითი ტირანიისაგან. ლიტერატურული ტექსტი მკითხველს სთავაზობს, თავისუფლად, შემოქმედებითად მიუდგეს მას. ტექსტის ყველანაირი კითხვა, მიუხედავად მისი ხარისხისა,

თანაბარმნიშვნელოვანია, რადგან მას მკითხველთან ურთიერთობა ესაჭიროება. ავტორის სიკვდილი კი, წერს როლან ბარტი ესეს ბოლოს, სინამდვილეში მკითხველის დაბადებას ნიშნავს [Barthes, 1977: 142-48].

მეცნიერების, კულტურისა და მთლიანად საზოგადოების მდგომარეობა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ფრანგმა ფილოსოფოსმა და ლიტერატურის თეორეტიკოსმა ჟან ფრანსუა ლიოტარმა დაახასიათა, როგორც „პოსტმოდერნის“ მდგომარეობა [Lyotard, 1984]. პოსტმოდერნი იყო პასუხი ე.წ. სუპერსაფუძვლის „გაქრობაზე“ ანუ რეაქცია „ღმერთის სიკვდილზე“(ნიცშე), „ავტორის სიკვდილზე“ და „ადამიანის, ჰუმანიტარობის სიკვდილზე“.

პოსტმოდერნს ზოგჯერ უბრალოდ პოსტმოდერნული დროის სულისკვეთებად ან მგრძნობელობად განსაზღვრავენ. დროის საზღვრები ერთგვარად პირობითია, რადგან როგორც მოდერნიზმი, ისე პოსტმოდერნიზმი ათწლეულების მანძილზე ვითარდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში; მათი განვითარების კულმინაციური ეტაპებიც ათწლეულებით, ან თითქმის საუკუნით არის დაშორებული. ხშირად პოსტმოდერნიზმს აანალიზებენ, როგორც საკუთრივ ამერიკულ მოვლენას, რომელიც თავისი აქტივობის პიკს 1960-90-იან წლებში აღწევს.

სამეცნიერო სტატიების კრებულის *პოსტმოდერნიზმი და თანამედროვე რომანი* რედაქტორი ბრენ ნიკოლი, საკუთარი რედაქციით გამოცემული კრებულის შესავალ სიტყვას „რას ვგულისხმობთ, როცა პოსტმოდერნიზმზე ვსაუბრობთ“ ამერიკელი ლიტერატურის კრიტიკოსის რობერტ სქოულზის სიტყვებით იწყებს: „ერთ დროს ჩვენ ვიცოდით, რომ მხატვრული ლიტერატურა ეხებოდა ცხოვრებას, ხოლო კრიტიკა მხატვრულ ლიტერატურას, ყველაფერი მარტივად იყო. ახლა ვიცით, რომ მხატრული ლიტერატურა ეხება სხვა მხატვრულ ლიტერატურას, ანუ ის რეალურად არის კრიტიკა, ან მეტათხზულება” [Nicol, 2002: 1].

პირველი, რაც პოსტმოდერნისტული სამყაროს შესახებ საუბრისას უნდა აღინიშნოს, თანამედროვე სამყაროში ახალი, ირეალური რეალობის (რომელსაც ჟან ბოდრიარი - ,,სიმულაკრულ” [Baudrillard, 1994] უმბერტო ეკო კი - ,,ჰიპერრეალურ“ სამყაროს უწოდებს) შექმნის მცდელობაა. პოსტმოდერნის დასახასიათებლად უმბერტო ეკოსაც და ჟან ბოდრიარსაც უოლტ დისნეის სამყაროს მაგალითი მოჰყავთ. აი როგორ ახასიათებს ბავშვების და არა მარტო ბავშვების ოცნების სამყაროს ჟან ბოდრიარი: „დისნეი ლენდი არის სიმულაკრების ყველა გახლართული დალაგების ზუსტი მოდელი. უპირველეს ყოვლისა ის არის ილუზიათა და ფანტაზიათა თამაში” [ციტ. Nicol, 2002: 97]. ამ ჰიპერრეალური სამყაროს შექმნამ, დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ თანამედროვე ეპოქასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არამედ აგრეთვე ხელოვნებასა და ლიტერატურაზე.

ლიტერატურულ პროცესში ფუძნდება რომანის ახალი ტიპი, ე.წ. პოსტმოდერნისტული რომანი, რომელიც რომანის ჟანრის ისტორიაში სრულიად ახალ ეტაპს ქმნის, და რომელიც პრინციპულად უპირისპირდება პოეტოლოგიური და იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ტრადიციული (განმანათლებლური, რეალისტური) და, მეორე მხრივ, არატრადიციული (რომანტიკული, მოდერნისტული)

რომანის ტიპს. თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე პოსტმოდერნისტულ რომანზე, აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და გამოვყოთ თავად პოსტმოდერნიზმის (დასაწყისი დასავლეთში - დაახლოებით 1960-იანი წლებიდან, ჩვენში - დაახლოებით 1990-იანებიდან), როგორც ეპოქის, მსოფლმხედველობრივი და სოციოკულტურული მახასიათებლები, ვინაიდან პოსტმოდერ-ნისტული რომანი ზედმიწევნით ასახავს და ავითარებს იმ მენტალურ და მსოფლმხედვე-ლობრივ სპეციფიკას, რაც სიმპტომატურია პოსტმოდერნიზმისათვის, როგორც პოსტმეტაფი-ზიკური ფილოსოფიური დისკურსისათვის, ისე სოციოკულტურული სივრცისა და ეპოქისათვის [ბრეგაძე, 2018: 229].

ამერიკელი მწერალი ლესლი ფიდლერი თავის ესსეში აღნიშნავს, რომ საჭიროა ხიდჩაკეტილობის გადალახვა, ელიტური კულტურისა და მასკულტურის გაერთიანება. ეს დაიწყო პოსტმოდერნის გარიჟრაჟზე და მართლაც მოხდა ელიტური, მაღალი ხელოვნების შერწყმა მასკულტურასთან. მაგალითად, უმბერტო ეკო *ვარდის სახელში* ელიტურ მედიევისტიკას აკავშირებს დეტექტივთან - ფრიად მასკულტურულ ფენომენთან. ეს არის შერწყმის კლასიკური მაგალითი. პოსტმოდერნიზმში, როგორც ბარტმა განსაზღვრა, მკითხველმა უნდა მიიღოს ტექსტით სიამოვნება. მართლაც, პოსტმოდერნისტული ტექსტის მკითხველი, უპირველესად, ინტელექტუალურ სიამოვნებას იღებს. საერთოდ, პოსტმოდერ-ნისტული ტექსტის სპეციფიკა ისაა, რომ ტექსტი გათვლილია მასებზე და თავშესაქცევი საკითხავია, ასევე, ღრმად ინტელექტუალური საკითხავიცაა და თუ შესაბამისად არ ხარ მომზადებული ინტელექტუალური თამაშისთვის, ვერაფერს გაიგებ ტექსტიდან.

იმ თეორიული შეხედულებებიდან გამომდინრე, რომელსაც დაემყარა პოსტმოდერ-ნიზმის ესთეტიკა, თავისთავად ფიქსირდება მისი განმსაზღვრელი ნიშნები. პოსტმოდერნიზმის ნიშნებზე საუბრისას უნდა გამოვყოთ: დეკონსტრუქცია - ეს პოსტმოდერ-ნიზმისათვის დამახასიათებელი ნიშანია, დეკონსტრუქცია ესაა შეხედულებების, ფასეულებების ნგრევა. ეს ტერმინი ჟაკ დერიდას ეკუთვნის [Derrida, 1981: 4-6].

გაურკვევლობა-ორაზროვნება - მკითხველი პოსტმოდერნისტული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ამ ამპლუაშია. მას უნდა ეყოს ძალა იპოვოს სწორი გზა, ამოიცნოს ავტორის ჩანაფიქრი. ფრაგმენტულობა - ტექსტი დაშლილია, დანაწევრებულია, არ არსებობს ერთი სიუჟეტური ხაზი, აქაც მკითხველის ძალისხმევაა საჭირო გონებაში დააკავშიროს ერთმანეთთან მოთხრობილი ამბები. დეკანონიზაცია - ესაა უარყოფა, უარყოფა ჩარჩოების, ფორმების, კანონებისა და დოგმების. ზედაპირულობა - ერთი შეხედვით, ტექსტში ყველაფერი ნათელია, მარტივია, თითქოს, მაგრამ ზედაპირულობაშია ყველა საიდუმლო. წარმოუდგენლის წარმოდგენა - მწერალს შესწევს ძალა მკითხველი დააჯეროს „ყალბ რეალობაში“. ირონია - ავტორი ირონიულადაა განწყობილი ყველაფრისადმი, შეიძლება დასცინოს ყველაფერს, მათ შორის კლასიკურ მემკვიდრეობას, ან იმ აზროვნებას, რა აზროვნებითაც გადმოქვცემს საკუთარ ტექსტებს.

ჰიბრიდიზაცია - ახალი ჟანრების და ფორმების თვითნებური დამკვიდრება პოსტმოდერნისტი ავტორების მიერ. კარნავალიზაცია - მწერლები ირგებენ ნიღაბს და მკითხველს რთავენ თამაშში.

კარნავალიზაცია - ესაა საშუალება ავტორის დახმარებით, მონაწილეობა მიიღო იმ პროცესებში, რომლებიც ხდება ტექსტში. პაროდია - ირონიული განწყობის გამომხატველია. წარსულის ირონიული აღქმა და მისი ინტერპრეტირება, ტექსტების ხელახალი წაკითხვა პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია.

თამაში - მწერალი იწვევს მკითხველს ჩაერთოს მის მიერ შეთავაზებულ თამაშში. ბელა წიფურია აღნიშნავს, რომ ადამიანი ჩაბმულია თამაშში საკუთარ წარმოდგენებთან: „თამაში ხდება ერთადერთი პირობა, რომლითაც ადამიანმა შეიძლება დაადგინოს თავისი მიმართების წესები ერთი მხრივ გარესამყაროსთან, მეორე მხრივ კი - საკუთარ საქმიანობასთან“ [წიფურია, 2006: 246]. პოსტმოდერნისტული თამაში შეგვახსენებს, რომ სამყარო დაუნდობელია და ამ სამყაროში აღარაფერი აღარ არის ნდობის ღირსი, არც ტექსტი და არც ავტორი.

ორმაგი კოდირება - მკითხველს შეუძლია საკუთარი ინტერპრეტაციით წაიკითხოს ნაწარმოები. ორმაგი კოდირება - ორი განსხვავებული, შეუსაბამო ენობრივი კოდის, დისკურსის, სტილისტიკის თანხვედრა და შერწყმაა. ეს ტერმინი ბრიტანელ არქიტექტორსა და ხელოვნებათმცოდნეს ჩარლზ ჯენკსს ეკუთვნის. ზურაბ ქარუმიძე მიიჩნევს, რომ „ორმაგი კოდირება“ პოსტმოდერნისტული ტენდენციაა, რომელიც გულისხმობს გამონაგონისა და ნამდვილის, ილუზორულისა და რეალურის ონტოლოგიურ აღრევას [ქარუმიძე 2010].

პერფორმანსი - „ლიტერატურული ტექსტი გარკვეულწილად ახლოსაა თეატრალურ სამყაროსთან, რადგან ავტორი რეჟისორს ჰგავს, რომელიც თავად წყვეტს, როგორი იქნება მკითხველის და მაყურებლის როლი ლიტერატურულ ტექსტში“ [ძნელაძე, 2014 : 46].

კონსტრუქტივიზმი - პოსტმოდერნიზმს დამანგრეველი ძალა გააჩნია, ასევე, შეუძლია კონსტრუირება გაუწიოს რეალობას, რომელშიც ავტორი და მკითხველი არსებობენ.

ავტორის სიკვდილი - პოსტმოდერნისტულ ნაწარმოების კითხვისას ისეთი შეგრძნება გვიჩნდება, თითქოს ავტორმა დატოვა ტექსტიც და მკითხველიც, თითქოს, ამ „უავტორო ტექსტის გროვაში“ ყველაფრის უფლება გვაქვს.

ახალი მკითხველი - პოსტმოდერნიზმმა „აიძულა“ მკითხველი თავის თავზე აიღოს თხრობის დისკურსში მიმდინარე პროცესების ანალიზი, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ავტორის ფუნქციები მთლიანად უნდა შეითავსოს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც უნდა მიიღოს. ფიქცია - ფიქციის დანიშნულება გამოძიებაა. მკითხველს შეუძლია მოირგოს დეტექტივის როლი და მწერლის მიერ ჩახლართული ლაბირინთის გამოცნობას შეუდგეს.

ინტერტექსტუალობა - მიხეილ ბახტინთან, მართალია, ტერმინი „ინტერტექსტუალობა“ არ გვხვდება, მაგრამ მხატვრული ტექსტის ,,დიალოგურობის“ მისეული განმარტება, ფაქტობრივად, იგივეს გულისხმობს, რასაც მოგვიანებით იულია კრისტევას მიერ დამკვიდრებული ტერმინი ,,ინტერტექსტუალობა“. ბახტინი დიალოგურობის პრინციპს ასე განმარტავდა: „ესაა ტექსტის დიალოგი სხვა ტექსტთან“. კრისტევაც ამტკიცებს, რომ ნებისმიერი ტექსტი ,,ინტერტექსტია“ ანუ დიალოგურ ურთიერთმიმართებას ამყარებს სხვა ტექსტებთან [Kristeva, 1986]. შემდეგ ეს ტერმინი როლან ბარტმა გამოიყენა [Barthes, 1986]. ინტერტექსტუალობას პირობითად „ტექსტების აღრევაც“ შეიძლება ვუწოდოთ.

პოსტმოდერნისტული ტექსტი მუდმივი დაეჭვების შედეგია. ასეთ მდგომარეობას „პარანოიული შფოთვა“ უწოდეს. სიმულაკრა - ეს ტერმინი ეკუთვნის ჟან ბოდრიარს, სიმულაკრა ასლია ორიგინალის გარეშე. ალუზია - ალუზია, ერთგვარი მინიშნებაა. ალუზიების ავტორი მიანიშნებს ისტორიულ ფაქტებზე, ლიტერტურულ გმირებზე, საზოგადოებისათვის ცნობილ მოვლენებზე. სამყარო როგორც ტექსტი - როლან ბარტი სამყაროს ტექსტთან აიგივებს, ის მიიჩნევს, რომ ციტატებისაგან მოქსოვილი ტექსტი კულტურულ პირველწყაროზე მიუთითებს.

ციტატა - ციტატის შემოტანით ავტორი სხვის ტექსტს გვთავაზობს საკუთარ მონათხრობში, მაგრამ ხან ჩასვამს ბრჭყალებში და ხან - არა. ბარტი გვაფრთხილებს, რომ პოსტმოდერნი ავტორის ეს ციტაცია რომ იცნო, აუცილებლად უნდა გვქონდეს გარკვეული „კულტურული კომპეტენცია“.

ისტორიზმის პრინციპი - პოსტმოდერნისტი ავტორები ახერხებენ, ისტორიული პროცე-სები სხვა კუთხით წარმოგვიჩინონ, ის ისტორიული პირები, რომლებიც ჩვენს ცნობიერებაში ისტორიის მთავარი წარმმართველი ფიგურები არიან, სრულიად სხვა სახით წარმოგვიდგებიან.

ეკლექტიზმი - „ეს ნიშანი გაბატონებულია პოსტმოდერნისტულ ეპოქაში, ის ყველა სათქმელს ერთად უყრის თავს, განსაზღვრავს მის ღირებულებებს, აფასებს, რამდენად კარგად იღებს მას საზოგადოება და რამდენად მოაქვს ავტორისთვის მოგება ამა თუ იმ რომანს“ [ძნელაძე , 2014 : 53].

პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი მახასიათებელი ესეისტურ-თეორიული ჩანართები და მეტატექსტუალური კომენტარებია. ამ ჩანართებითა და კომენტარებით, ავტორი პოსტმოდერნისტულ ტექსტში თითქოს გვეხმარება თავი დავაღწიოთ ლაბირინთებს, ალუზიებს. ან მწერალი გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, რომელიც შეიძლება ირონიული ხასიათისაც იყოს.

სარკე პოსტმოდერნიზმის მთავარი სამოქმედო იარაღია, ოღონდ ეს სარკე გარე სამყაროზე კი არაა მომართული, როგორც ეს სახელოვნებო რეალიზმშია მიღებული, არამედ სარკედან სარკეში არეკლილი რეალობის “დასაჭერად” – ამგვარ სარკეთა დიდოსტატი რენე მაგრიტია, მხატვრობის ნაბოკოვი.

რეალურისა და ილუზორულის სიმულაციური აღრევით მრავალი პოსტმოდერნისტი მწერალი ოპერირებს (კურტ ვონეგუტი, ჯონ ფაულზი, ჯონ ბართი): ავტორი შეაღწევს თავისი ნაწარმოების სამყაროში და იქაურ პერსონაჟებს „ეკონტაქტება.” ამას კინემატოგრაფშიც ვხვდებით, ვთქვათ – ფელინის, ან ვუდი ალენის ფილმებში [ქარუმიძე, 2010].

პოსტმოდერნისტული რომანის პოეტოლოგია ითვალისწინებს პოსტმოდერნისტულ თეზას მყარ მსოფლმხედველობრივ ღირებულებათა დაფუძნების მიზანშეუწონლობის შესახებ მაგ., სწრაფვას უმაღლესი ტრანსცენდენტური ეგზისტენციის დამკვიდრებისაკენ. აქე დან გამომდინარე, პოსტმოდერნისტული რომანის პოეტოლოგია პირველ რიგში უპირისპირ-დება რომანის შლეგელისეულ და ჰეგელისეულ გაგებას, რომლის მიხედვითაც რომანი იმთავითვე ყოფიერებაზეა მიმართული, რომანი ასახავს სუბიექტის ეგზისტენციალურ

დრამას და ტელეოლოგიის პრინციპის გათვალისწინებით აფუძნებს უმაღლესი იდეისაკენ/იდეალებისაკენ სუბიექტის სწრაფვას [ბრეგაძე, 2018: 237-238].

პოსტმოდერნისტული რომანი ონტოტექსტია, ანუ თვითკმარი ყოფიერებაა, ყოფიერებაა ყოფიერებაში, იგი მხატვრული ტექსტია თავის თავად: ანუ, პოსტმოდერნისტული რომანი არანაირ მსოფლმხედველობრივ მიმართებას (როგორც ამას რომანისგან ჰეგელი და შლეგელი მოითხოვდნენ) აღარ ამყარებს არც ტრანსცენდენტურ სინამდვილესთან და არც გარემომცველ სინამდვილესთან. ეს ყველაფერი მას არ აინტერესებს, მისადმი გულგრილია, მას უარყოფს და ამის სანაცვლოდ თავის თავს აფუძნებს როგორც თავის თავში ჩაკეტილ ტექსტს, როგორც თავისებურ „წმინდა“ ტექსტს, „წმინდა“ ფიქციას, სახელოვნებო კონსტრუქციას. შესაბამისად, პოსტმოდერნისტული რომანი თავის თავში, საკუთარი თავიდან გაუსვლელად და საკუთარი ტექსტის სახით თავად ქმნის ახალ სინამდვილეს, სინამდვილეს სინამდვილეში, ქმნის ახალ ზერეალობას - ე. წ. ჰიპერრეალობას - ვირტუალური (წამოსახვითი) ესთეტიკური რეალობის სახით, რომელსაც მხოლოდ წმინდად სიმულაკრული ბუნება აქვს.

პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკის ერთ-ერთი თვალშისაცემი მახასიათებელია მისი ეკლექტიკური არსი, ვინაიდან იგი, აპრიორულად იყენებს ისტორიულად უკვე არსებულ, ტრადიციული (მაგ. რეალისტური) და არატრადიციული (მაგ. მოდერნისტული) რომანის მზა პოეტოლოგიურ პრინციპებს, ან სარგებლობს რომანის სხვადასხვა ჟანრით და ერთი ტექსტის ფარგლებში აქსოვს მათ. პოსტმოდერნისტულ რომანში ჟანრული აღრევა, ნარატივთა და სტილთა პლურალიზმი, ერთი მხრივ, ექვემდებარება არტისტული თამაშის პრინციპს, ანუ სახელოვნებო თამაშს თამაშისათვის, რაც გულისხმობს შემდეგს: პოსტმოდერნისტული რომანი იმთავითვე იქმნება როგორც ინტელექტუალური გასართობი, როგორც ინტელექტუალური თავის შექცევისათვის განკუთვნილი სათამაშო მოწყობილობა, რომლის მიღმაც რაიმე ღრმა ლოგოცენტრისტული ჩანაფიქრი არ იმალება. მეორე მხრივ, ეს „შემოქმედებითი“ ეკლექტიკა და პლურალიზმი (ე. ი. თვითმიზნური ჟანრული, ნარატიული, სტილური აღრევა) ექვემდებარება მხატვრულ ლიტერატურაში პოსტმოდერნიზმამდე არსებულ ლიტერატურულ ჟანრთა, სტილთა და ნარატივთა პაროდირებას მათი დეკონსტრუქციისა და სიმულაკრულობის ხაზგასმის მიზნით. ხოლო ტექსტში მეტაფიქციონალობის შემოტანით, პოსტმოდერნისტული რომანის „ავტორი“ ცდილობს ხაზი გაუსვას, რომ პოსტმოდერნისტული ტექსტის სახით სწორედ წმინდად სახელოვნებო/არტისტულ თამაშთან, ანუ ტექსტობრივი კონსტრუქციის აგებასთან, ტექსტუალობასთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, აქ ფიქციონალურ თხრობაში არაფიქციონალური თხრობის ინტეგრირებით ხაზი ესმება, რომ პოსტმოდერნისტული რომანის მხატვრული სამყარო მართლაც გამონაგონია და სხვა არაფერი, რომლის მიღმაც არანაირი მყარი მსოფლმხედველობრივი ჩანაფიქრი, არანიარი ლოგოცენტრისტული საზრისი არ უნდა ვიგულისხმოთ, და რომ მას (ტექსტს) არანაირი მსოფლმხედველობრივი (ან მიმეტური) მიმართება არ გააჩნია გარე სინამდვილესთან.

პოსტმოდერნისტულ რომანში აპრიორულადაა მოცემული ინტერტექსტუალობა, რომელიც ხშირად ვლინდება კლასიკური მხატვრული, ან არამხატვრული ტექსტებიდან ციტატების მოხმობის (ციტატურობა), ტექსტების ამა თუ იმ პასაჟის პარაფრაზის, გადაკეთების ან მინიშნების ფორმით. ინტერტექსტუალობაც, ისევე როგორც მეტაფიქციონალობა, სწორედ გაუცხოების ეფექტის ფუნქციას ასრულებს, რითაც ხაზი ესმება, რომ კლასიკური ტექსტებიდან მოხმობილ ამონარიდებზე აპელირება და მათზე მინიშნება მხოლოდ ტექსტობრივი კონსტრუქტის აგებითაა მოტივირებული, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია თავად პოსტმოდერნისტული ტექსტის არტისტული თამაშისადმი აპრიორული სწრაფვით.

პოსტმოდერნისტულ რომანებში საერთოდ არ გვხვდება „ტრადიციული“ ალეგორიები და სიმბოლოები და მათ სიმულაკრული და რიზომატული კოდები და ტოპოსები ენაცვლება. დაკარგული მანუსკრიპტის სემიოტიკური კოდი ეკოს რომანში *ვარდის სახელი* (1980) [Schärf, 2001: 167]. პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკის ერთ-ერთი მახასიათებელია თხრობის პერსპექტივათა მუდმივი და უსასრულო მონაცვლეობა, რითაც პოსტმოდერნისტი „ავტორი“ მიზანმიმართულად აღვივებს მკითხველში ტექსტის მიმართ უნდობლობასა და გაუცხოებას.

პოსტმოდერნისტულ რომანში მოცემული კლასიკური ტექსტების ამ გადათამაშებებისა თუ ახალი ვერსიების მიზანია კლასიკური ტექსტების პაროდირება და ამ პაროდირების საშუალებით კლასიკურ ტექსტებში მოცემული ლოგოცენტრისტული და აქსიოლოგიური პოზიციების დეკონსტრუქცია (=დესტრუქცია) და იმის ხაზგასმა, რომ თანამედროვე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში, პოსტმოდერნისტული მგრძნობელობის ვითარებაში, როდესაც სამყაროს და ადამიანის ეგზისტენციას საბოლოოდ გამოეცალა საზრისი, კლასიკურ ტექსტებს არანაირი ღირებულება არ გააჩნიათ. პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკისათვის ასევე დამახასიათებელია თამაშის სხვა ტიპი, კერძოდ, ენობრივი თამაშები, რაც ეფუძნება სოსიურისეული ენის/ენობრივი ნიშნის კონვენციონალურობისა და აღსანიშნი-აღმნიშვნელის დიქოტომიის ერთჯერადობის უკუგდებასა და დეკონსტრუქციას. ეს გულისხმობს იმას, რომ რომანში, როგორც სუპერ-ნიშანში, დარღვეულია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მთლიანობის ერთჯერადობა და ერთადერთობა.

ამით მკითხველს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს რომანის ავტორის მიერ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციულ თამაშში და თავად იყოს მოცემული ტექსტის „გამგრძელებელი“ - ავტორი, ეძლევა შესაძლებლობა „შევიდეს“ ტექსტში და გახდეს ტექსტუალობის, ტექსტუალურ-ვირტუალური ჰიპერრეალობის, ანუ ონტოტექსტის ნაწილი და წამოიწყოს ტექსტით გაჯეტური თამაში, ანუ ტექსტის სხვადასხვა სემანტიკური შრეების სხვადასხვა სემანტიკური მიმართულებებით დაშლა-აწყობა.

პოსტმოდერნული მეტაპროზის ნამდვილი მაცნე ჯონ ბარტი იყო, ამერიკელი ავტორი, რომელმაც დიდად განსაზღვრა ამერიკული ინტელექტუალური ცხოვრების ბედი. როგორც მალხაზ ხარბედია აღნიშნავს, „ვამბობთ ჯონ ბარტს და ვგულისხმობთ მეტაპროზას. მეტაპროზა ეს გახლავთ სახესხვაობა ლიტერატურისა, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა პოსტმოდერნიზმის ეპოქაში. ონ ბარტი კი არის კვინტესენციური მოვლენა

მეტაპროზასთან დაკავშირებით. ის წერს ფაქტობრივად მეტაპროზას. წერს როგორც თავის მხატვრულ ტექსტებში, ასევე თავის თეორიულ გამოკვლევებში" [ხარბედია, 2016].

მალხაზ ხარბედია მართებულად მიიჩნევს, რომ ბარტის ესე ,,ამოწურვის ლიტერატურა", ფაქტობრივად, პოსტმოდერნიზმის მანიფესტია: „პირველი ტექსტი, რომელიც მე წავიკითხე ჯონ ბარტისა, იყო მისი ცნობილი ესე, რომელსაც ქართულ თარგმანში ასეთი სათაური ექნება ალბათ: „დაშრეტვის ლიტერატურა", ან „ამოწურვის ლიტერატურა", 1967 წელს გამოვიდა *Atlantic Monthly*-ში. შემდეგ კი იყო მისი ესე, „მოყირჭების ლიტერატურა", ეს ტექსტი ითვლება პოსტრმოდერნის ერთ-ერთ მანიფესტად …" [ხარბედია, 2016].

დასკვნის სახით პოსტმოდერნისტული რომანის ფარგლებში შეგვიძლია გამოვყოთ მისი შემდეგი პოეტიკური მახასიათებლები: ა) აპრიორული ანტილოგოცენტრიზმი -აქსიოლოგი-ური პარადიგმების დაფუძნებისა და ჭეშმარიტების დადგენისადმი სწრაფვის მიზანშეუწონ-ლობისა და არაარსებითობის პოსტულირება; ბ) დეკონსტრუქტივისტული პათოსი - ლოგოსზე, ანუ მეტაფიზიკურ პირველსაზრისზე ორიენტირებულ მსოფლმხედველობათა და ესთეტიკურ პოზიციათა უარყოფა და მათი დესტრუქციისადმი სწრაფვა; ც) ონტოტექსტუ-ალობა - პოსტმოდერნისტული რომანის მიერ ყოფიერებისაგან/გარესამყაროსგან სრული მსოფლმხედველობრივი და მიმეტური იზოლირების/დისტანციის „დაფუძნება" და საკუთარი თავის ახალ ზეყოფიერებად (ჰიპერრეალობად) „განსაზღვრა"; დ) არტისტული თამაშისადმი აპრიორული სწრაფვა, რასაც ბარტი უწოდებს „ტექსტით ხალისს" შედეგად, პოსტმოდერ-ნისტული რომანის სახით ვიღებთ გაჯეტის ტიპის, ანუ სათამაშო ხელსაწყოს, სათამაშო აპარატის ტიპის ტექსტს, რომელსაც უსასულოდ და ყოველად უმიზნოდ შლის და აწყობს „ავტორი". ხოლო ამ დაშლა-აწყობაში ჩართული მკითხველი შემდგომ თავად იღებს ინტელექტუალურ სიამოვნებას „ავტორის" მსგავსად; ე) აქედან კი მომდინარეობს პოსტმოდერნისტული რომანის აპრიორული სიმულაკრულობა - მხოლოდ აღმნიშვნელებით თამაშზე ორიენტაცია ტექსტის ზედაპირულობის დაფუძნებისა და ტექსტის საზრისის (აღსანიშნის) სრული უკუგდების მიზნით; ვ) ინტერტექსტუალობა - იგი პოსტმოდერნისტულ რომანში ვლინდება კლასიკური ტექსტის პირდაპირი ციტატის, პარაფრაზის, მიბაძვის ან მასზე მინიშნების ფორმით, ტექსტში მონოსემანტიკის უკუგდებისა და თანაფარდი მრავალმნიშვნელობის დაფუძნების, ან კლასიკური ტექსტების პაროდირებისა და მათთან პოლემიკის გამართვის მიზნით; ზ) მეტაფიქციონალობა - მისი მიზანია პოსტმოდერნისტული ტექსტის ფიქციონალობის ხაზგასმა, ანუ ტექსტის, როგორც სრული გამონაგონის, მისი, როგორც ტექსტობრივი კონსტრუქციის ხაზგასმა; მეორე მხრივ, მეტაფიქციონალობის საშუალებით ხაზი ესმება ტექსტში მოცემული ამბებისა და საზრისების არაჭეშმარიტ და სიმულაკრულ არსს (ამაზე ან თავად „ავტორი"/მთხრობელი ინსტანცია, ან პროტაგონისტი მიუთითებს ექსპლიციტურად), რამაც უნდა გამოიწვიოს ტექსტისადმი მკითხველის/ რეციპიენტის გაუცხოება, რათა მას არ შეექმნას ტექსტში მოცემული „ამბების" ნამდვილობის/ შესაძლებლობის ილუზია და არ შეუდგეს ტექსტში რაიმე დაფარული უმაღლესი იდეის ძიებასა და წვდომას, არამედ „ავტორთან" ერთად ბოლომდე იყოს

ჩართული ტექსტის დეკონსტრუირება-კონსტრუირების უსასრულო პროცესში; თ) ორმაგი (სამმაგი და ა. შ.) კოდირების პრინციპი გამოიყენება პოსტმოდერნისტული რომანის ტექსტის საზრისის სრული გაბუნდოვანების, ან სხვადასხვა საზრისთა პლურალიზმის, ნებისმიერობისა და განურჩევლობის დაფუძნების მიზნით; ი) რიზომატულობა - პოსტმოდერნისტული რომანის ტექსტში ვლინდება სემანტიკური პლურალიზმის, თანაფარდი მრავალმნიშვნელობის (ტექსტის სემანტიკური პოლიფონიურობის) დაფუძნების მიზნით; კ) კლასიკური ტექსტების გაგრძელებები/ახალი ვერსიები მათი პაროდირების მიზნით, რითაც ხორციელდება მათში მოცემული ლოგოცენტრისტული პოზიციებისა და ლოგოცენტრისტულ ღირებულებათა დეკონსტრუქცია/დესტრუქცია; ლ) თხრობის/ნარაციის აბსოლუტიზება (თხრობა თხრობისათვის) - გამოიყენება მკითხველის „დაბმისა" და პოსტმოდერნისტი „ავტორის" მიერ წამოწყებულ უსასრულო არტისტულ თამაშში (ტექსტის უსასრულო აწყობა-დაშლა) მისი (მკითხველის) ჩართვის მიზნით; მ) ჟანრობრივი, სტილისტური და რიტორიკული პლურალიზმი და თანაფარდობა - გამოიყენება კლასიკური ტექსტების ჟანრობრივი, სტილისტური და რიტორიკული მახასიათებლების პაროდირების მიზნით; ნ) თხრობის პერსპექტივათა პლურალიზმი და თანაფარდობა; ო) ტექსტის ყველა დონეზე (ლექსიკური, სინტაგმატური, პრაგმატული) აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მთლიანობის, ანუ მათი ერთმნიშვნელოვანი თანხვედრის რღვევა-დაშლა/დეკონსტრუქცია; პ) გასართობი/ ტრივიალური ლიტერატურისადმი მოჩვენებითი სწრაფვა და ტექსტის ფარგლებში გასართობ-მასობრივ და ინტელექტუალურ-ელიტარულ დისკურსთა თანაარსებობა; ჟ) „ავტორის სიკვდილი" - ლოგოსზე, ანუ მეტაფიზიკურ პირველსაწყისებზე, ან რაიმე მსოფლმხედველობრივ-ღირებულებით სისტემაზე/პარადიგმაზე ორიენტირებული ტრადიციული ავტორის „ლიკვიდაცია".

ლიტერატურა:

ბრეგაძე, კონსტანტინე. ,,პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკა". წიგნში: კ. ბრეგაძე. *მოდერნი და მოდერნიზმი.* თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018: 229-253.

კობეშავიძე, თამარ. *პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა და ჯონ ფაულზის რომანები.* ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა, 2017.

ქარუმიძე, ზურაბ. ,,პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი". *არილი,* 2 ივლისი, 2010. http://arilimag.ge/ზურაბ-ქარუმიძე-პოსტსაბ-2/

ქარუმიძე, ზურაბ, კონსტანტინე ბრეგაძე, პაატა ჩხეიძე. ,,,,იწყება რღაც ახალი რხევები მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის": მრგვალი მაგიდა". *ლიტერატურული გაზეთი,* 24 თებერვალი - 9 მარტი, 2017: 10-13.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/199079/1/Literaturuli_Gazeti_2017_N4.pdf

წიფურია, ბელა. „პოსტმოდერნიზმი". *ლიტერატურის თეორია – XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები.* თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2006: 220-249.

ხარბედია, მალხაზ. ,,ჯონ ბარტი - 80“. *არილი*, 23 იანვარი, 2016.

http://arilimag.ge/%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%ae%e1%83%90%e1%83%96-%e1%83%ae%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%91%e1%83%94%e1%83%93%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%af%e1%83%9d%e1%83%9c-%e1%83%91%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a2/

ძნელაძე, სოფიკო. *პოსტმოდერნისტული ტენდენციები თანამედროვე ქართულ რომანში*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2014.

Bakhtin, Mikhail. *The Dialogic Imagination: Four Essays*. Ed. Michael Holquist. Trans. Caryl Emerson and Michael Holquist. Austin: University of Texas Press, 1990.

Barth, John. “The literature of Replenishment”. *Atlantic Monthly*, January 1980.

Barthes, Roland. The Rustle of Language. Trans. Richard Howard. Oxford:Basil Blackwell, 1986.

Derrida, Jacques. *Dissemination*. Trans. Barbara Johnson. Chicago: University of Chicago Press, 1981.

Eco, Umberto. *Porscript to the The Name of the Rose.* New York: Harcourt, Brace and Jovanovich, 1984.

Kristeva, Julia. “Word, Dialogue and Novel”. Trans. A. Jardine, Th. Gora & L. S.Roudiez. In: Julia Kristeva. *The Kristeva Reader*. Ed. Toril Moi. NY: Columkbia University Press, 1986: 34-61.

Lyotard, Jean-Francois. *The Postmodern Condition*. Manchester University Press, 1984.

Nicol, Bran (ed.). *Postmodernism and the Contemporary Novel*. Edinburgh: Edinburgh University Press, 2002.

Schärf, Christian. *Der Roman im 20. Jahrhundert*. Stuttgart: Metzler, 2001

Nino Birkaia

Akaki Tsereteli State University

Some Notes on the Poetics of the Postmodernist Novel

Abstract

The purpose of the present paper is to explore some key poetological categories of the postmodern novel. It discusses the premises that led up to the birth of the postmodern era as well as aesthetic and philosophical peculiarities of the postmodernist paradigm. The paper focuses on such postmodernist narrative strategies as metafictional techniques, double/triple coding, the use of simulacra, intertextuality, deconstruction, eclecticism etc.

Iconoclastic and irreverent, the postmodern novel is by definition a radical experiment that emerges when a writer feels the customary tropes of fiction have been exhausted. For the postmodernist, the well-worn genre of the novel is insufficient and no longer capable of conveying the imagination of the writer or the magnitude of historical events.

Postmodern fiction is a product of the post-World War II period. It can be viewed as an extension of rather than a decisive break or deviation from modernism, the defining literary movement of the twentieth century.

Like the modern novel, the postmodern novel is subversive; that is, it counters traditional notions of plot, narrative, chronology, and character development. Postmodern novels are often described as self-reflexive — that is, they center on the nature of fiction itself and are written as though fiction is independent of society, reality, and any realm outside itself. Postmodernist novelists focused on fiction as a self-sustaining universe of its own.

Postmodernist fiction encompasses forms as wide-ranging as North American metafiction, Latin American magic realism, the French New New Novel, concrete prose and science fiction. Their common denominator is its ability to thrust its own ontological status into the foreground and to raise questions about the world (or worlds) in which we live.

Key words: postmodernism, simulacrum, deconstruction, double coding, intertextuality